



საქართველოს კონკურენციის
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საინფორმაციო ფურცელი

მსოფლიოში კონკურენციის უწყალობისა და ევროკავშირის სასამართლოების მიერ განხორციელებული აქტივობები

ივნისი, 2026



ევროკომისია

კომისიამ TEMU-ს ციფრული სერვისების აქტის დარღვევისთვის 200
მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა



ევროკომისიამ Temu-ს ციფრული სერვისების აქტის (DSA) საფუძველზე 200 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა. კომპანიამ სათანადოდ არ განახორციელა პლატფორმაზე უკანონო პროდუქტების შეთავაზებასთან და ევროკავშირის მომხმარებლებისთვის მიყენებული ზიანთან დაკავშირებული სისტემური რისკების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება. კომისიის განკარგულებაში არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ევროკავშირის მომხმარებლები Temu-ზე უკანონო პროდუქტებს დიდი

ალბათობით წააწყდებიან.

კომპანიის 2024 წლის რისკების შეფასება DSA-ით დადგენილ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს შემდეგ გარემოებათა გამო:



I, იგი ეყრდნობა ელექტრონული კომერციის სექტორში არსებული რისკების შესახებ ზოგად ინფორმაციას და არა Temu-ს საკუთარი სერვისის სპეციფიკურ მტკიცებულებებს, მათ შორის საჯარო ანგარიშებსა და ტესტირების შედეგებს.

II, რამდენად ხშირად წააწყდებიან ევროკავშირის მომხმარებლები უკანონო პროდუქტებს. კომისიის მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული საკონტროლო შესყიდვის ექსპერიმენტის მტკიცებულებები ადასტურებს, რომ შერჩეული დამტენების ძალიან მაღალი წილი ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს, ხოლო ტესტირებული ბავშვის სათამაშოების მაღალი წილი საშუალო-მაღალი სიმძიმის უსაფრთხოების რისკს წარმოადგენს კანონით დადგენილ ზღვრებს გადამეტებული ქიმიური ნივთიერებების შემცველობის ან მოსახსნელი ნაწილებით გამოწვეული საფრთხის გამო.

III, მასში სათანადოდ არ არის შეფასებული, თუ როგორ შეიძლება სერვისის არქიტექტურამ მათ შორის რეკომენდაციების სისტემებმა და აფილირებული ინფლუენსერების მეშვეობით განხორციელებული პროდუქტების პოპულარიზაციის პროგრამებმა გააძლიეროს უკანონო პროდუქტების გავრცელების რისკები.

წყარო:



**ავსტრალიის კონსულენციისა და მომხმარებლის
კომისია**

საწვავის ფასების მონიტორინგი

2026 წლის მარტში ACCC-მ საწვავის ინდუსტრიის მონიტორინგი კვარტალური სიხშირიდან კვირეულ სიხშირეზე გადაიყვანა ახლო აღმოსავლეთში განვითარებული კონფლიქტისა და მისი ავსტრალიის ბაზარზე გავლენის გათვალისწინებით. წინამდებარე ანგარიში მეთექვსმეტეა და მოიცავს 24 ივნისამდე პერიოდის ფასებს.

	Average price on 20 February	Average price on 31 March	Average price on 24 June	As at 24 June at 11 am	
				Lowest priced site	Highest priced site
Sydney	165.2	257.4	156.8	141.9	189.9
Melbourne	176.1	259.1	157.3	143.5	239.9
Brisbane	188.8	258.7	159.6	149.9	189.9
Adelaide	161.3	259.2	151.2	147.9	159.9
Perth	163.3	251.8	160.7	141.3	209.5
5 largest cities	170.9	257.2	157.1		
Canberra	181.2	258.1	168.2	153.9	179.9
Hobart	165.0	257.0	162.7	149.9	199.9
Darwin	177.1	263.4	163.1	158.5	165.9

2026 წლის 30 მარტს ავსტრალიის მთავრობამ 1 აპრილიდან სამი თვის ვადით საწვავის აქციზი გაანახევრა 32 სენტიტ ლიტრზე (cpl). 2026 წლის 21 ივნისს გამოცხადდა, რომ 30 ივნისს აღნიშნული შეღავათის ამოწურვის შემდეგ 1 ივლისიდან 2 აგვისტომდე შეღავათი გაგრძელდება შემცირებული განაკვეთით 16 cpl. შესაბამისად, 1 ივლისიდან საცალო ფასების ზრდა მოსალოდნელია. აღსანიშნავია, რომ გამყიდველები შესაძლოა 1 ივლისიდან დაუყოვნებლივ არ გახდნენ უფრო მაღალი ხარჯების წინაშე, ვინაიდან ახალი მარაგის მიწოდებას გარკვეული დრო სჭირდება.

ხუთ უმსხვილეს ქალაქში სიდნეიში, მელბურნში, ბრისბენში, ადელაიდასა და პერთში ბენზინის საშუალო საცალო ფასმა 157.1 cpl შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 6.8 cpl-ით ნაკლებია. 31 მარტის მაჩვენებელთან შედარებით ფასი 100.1 cpl-ით, ხოლო 20 თებერვლის კონფლიქტამდე ერთი კვირით ადრე მაჩვენებელთან შედარებით 13.8 cpl-ით შემცირდა. 24 ივნისს ყველაზე მაღალი საცალო ფასი კანბერაში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი ადელაიდაში.

დიზელის საშუალო საცალო ფასი ხუთ უმსხვილეს ქალაქში 180.1 cpl-ს შეადგენდა წინა კვირასთან შედარებით 15.2 cpl-ით ნაკლები და 31 მარტთან შედარებით 142.3 cpl-ით დაბალი. 20 თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით დიზელის ფასი 3.5 cpl-ით მაღალი რჩება, რაც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ფონზე დიზელის საერთაშორისო ფასების მკვეთრ ზრდას ასახავს. 190-ზე მეტ რეგიონულ პუნქტში ბენზინის საშუალო ფასი 172.2 cpl-ს, დიზელისა კი 192.5 cpl-ს შეადგენდა.

24 ივნისამდე კვირის განმავლობაში Brent-ის ნედლი ნავთობის, ბენზინის საერთაშორისო ნიშნულის (Mogas 95) და დიზელის საერთაშორისო ნიშნულის (Gasoil 10 ppm) ფასები სამ თვეში უდაბლეს ნიშნულს მიაღწია. ფასების შემდგომი კლება განაპირობა 2026 წლის 15 ივნისს შეერთებული შტატებისა და ირანის კონფლიქტის დასრულების შეთანხმებამ. 24 ივნისამდე კვირის განმავლობაში Mogas 95-ის საშუალო ფასი 94 cpl-ს შეადგენდა წინა კვირასთან შედარებით 7 cpl-ით (დაახლოებით 7%) ნაკლები; Gasoil 10 ppm-ის საშუალო ფასი კი 102 cpl-ს შეადგენდა წინა კვირასთან შედარებით 12 cpl-ით (დაახლოებით 11%) ნაკლები.

ACCC განაგრძობს საცალო ფასების მონიტორინგს განსაკუთრებით 1 ივლისს აქციზის ნაწილობრივი აღდგენის გათვალისწინებით. საწვავის გამყიდველებს ეცნობებათ, რომ

ფასებთან ან დამატებით გადასახდელებთან დაკავშირებული ნებისმიერი მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა, ისევე როგორც ფასების კოლუზია, სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდება.

წყარო:

02



ავსტრალიის კონსუტაციისა და მომხმარებლის კომისია

სასამართლომ დაადგინა, რომ კომპანიამ მომხმარებლები შეცდომაში შეიყვანა



ავსტრალიის ფედერალურმა სასამართლომ დაადგინა, რომ Coles Supermarkets Australia-მ „Down Down“ ფასდაკლებებთან დაკავშირებით მომხმარებლებს მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მიაწოდა - ACCC-ის მიერ აღძრული სარჩელის საფუძველზე.

საქმე შეეხებოდა Coles-ის მიერ რეალიზებულ 245 პროდუქტს. ACCC-ის მტკიცებით, Coles-მა თითოეული პროდუქტის ფასი შედარებით მოკლე პერიოდით სულ მცირე 15 პროცენტით გაზარდა, რის შემდეგაც პროდუქტი „Down Down“ აქციაში ჩართო ისეთ ფასად, რომელიც ფასის გაზრდამდე არსებულ დონეზე მაღალი ან მისი ტოლი იყო. ACCC-ის შეფასებით, ფასდაკლებები ილუზიური ხასიათის იყო და ავსტრალიის სამომხმარებლო კანონმდებლობის დარღვევით წარმოადგენდა მცდარ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას.

სასამართლო განხილვა მოიცავდა 245 პროდუქტიდან შეთანხმებით შერჩეულ ნიმუშს. სასამართლომ დაადგინა, რომ Coles-მა პასუხისმგებლობის განხილვის ეტაპზე შესწავლილი 14 „Down Down“ ბარათიდან 13-ში შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია გაავრცელა.

„მივესალმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომ Coles-მა ავსტრალიის სამომხმარებლო კანონმდებლობა დაარღვია“, - განაცხადა ACCC-ის თავმჯდომარემ გინა კას-გოტლიბმა. უწყებამ ეს საქმე საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე წამოიწყო, ვინაიდან Coles-ის „Down Down“ პროგრამაში გამოყენებული ფასწარმოქმნის პრაქტიკა

მომხმარებელს უძნელებდა საყოფაცხოვრებო პირველადი მოხმარების საქონლის შეძენისას ნამდვილი ღირებულების განსაზღვრას. სასამართლო ACCC-ის მიერ მოთხოვნილ სანქციებსა და სხვა გადაწყვეტილებებს მოგვიანებით განიხილავს.

ACCC-მ Coles-ის წინააღმდეგ სარჩელი 2024 წლის სექტემბერში აღძრა. უწყება ამტკიცებდა, რომ Coles-მა 2022 წლის თებერვლიდან 2023 წლის მაისამდე 245 პროდუქტის ფასებთან დაკავშირებით მომხმარებლებს მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია მიაწოდა. პროდუქტების ჩამონათვალში შედის, inter alia, სხვადასხვა ბრენდის ნამცხვრები, შოკოლადი, რძის პროდუქტები, სასმელები, პირის ღრუს მოვლის საშუალებები, სარეცხი სითხეები, ჩვილთა საკვები, მარცვლეული, ჰიგიენური საშუალებები და სხვა საყოფაცხოვრებო პროდუქტები.

Coles 840-ზე მეტი მაღაზიით ავსტრალიის მეორე უმსხვილესი სასურსათო საცალო ქსელია. „Down Down“ პროგრამა 2010 წლის ივნისში შემოიღეს და მომხმარებელს ხშირად შეძენილ პროდუქტებზე სტაბილური და საიმედო ფასების გარანტიის სახით წარუდგინეს.

წყარო:



ჩეხეთის რესპუბლიკის კონკურენციის დაცვის ოფისი

ჩვილთა საკვების მწარმოებელს 2 მილიონ კრონზე მეტი ჯარიმა დაეკისრა



კონკურენციის დაცვის ოფისმა (ÚOHS) 2,28 მილიონი კრონის ჯარიმა დააკისრა HERO CZECH s.r.o.-ს მულტინაციონალური HERO ჯგუფის შემადგენელ საწარმოს, რომელიც ხილის კონსერვაციის, ჩვილებისა და პატარა ბავშვებისთვის საკვების შემუშავებისა და

წარმოების სფეროში მოღვაწეობს. საწარმო დაჯარიმდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისთვის კონკრეტულად, ინვოისის წარდგენის თარიღიდან 30 დღეზე გრძელი საანგარიშსწორებო ვადების გამოყენებისთვის. გადაწყვეტილება საბოლოოა; საწარმომ გადაცდომა აღიარა და უწყებასთან ე.წ. მორიგების პროცედურის ფარგლებში ითანამშრომლა.

Sunar ბრენდის ჩვილთა რძის ნარევის, ბავშვთა საკვების, Corny მარცვლეულის ბატონებისა და Schwartau პრემიუმ მურაბების მწარმოებელი საწარმო ჯამში 135 ინვოისისთვის დაჯარიმდა, რომელთა საანგარიშსწორებო ვადა კანონით დადგენილ ზღვარს აჭარბებდა. ინვოისები სამ მომწოდებელს შეეხებოდა. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შესახებ კანონის თვალსაზრისით, ეს სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პროდუქტების რეალიზაციაში არაკეთილსინდისიერ სავაჭრო პრაქტიკას წარმოადგენს.

უწყების შეფასებით, HERO CZECH-ის შემთხვევა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების შესახებ კანონის ეპიზოდური დარღვევა კი არ იყო, არამედ სისტემური ქმედება, რომელიც კანონში შეტანილი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან სულ მცირე 27 თვის განმავლობაში გაგრძელდა. საწარმომ მომწოდებლების ხარჯზე მნიშვნელოვანი ფინანსური უპირატესობა მოიპოვა, რაც საკუთარი საოპერაციო ფულადი ნაკადის ზრდის სახით გამოიხატა.

უწყებამ საქმის შესწავლა სფეროში ჩატარებული სექტორული მოკვლევის შედეგების საფუძველზე დაიწყო. ინვოისების საანგარიშსწორებო ვადა კონკრეტული მომწოდებლების მიხედვით განსხვავდებოდა. ერთ-ერთ მომწოდებელს HERO CZECH-ი 102 დღის შემდეგ უანგარიშებდა ანუ საანგარიშსწორებო ვადა კანონით დასაშვებზე სამჯერ მეტი იყო.

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას უწყებამ საქმის ინდივიდუალური გარემოებები გაითვალისწინა. შემამსუბუქებელ გარემოებად, სხვა საკითხებთან ერთად, მიჩნეულ იქნა ის ფაქტი, რომ მხარემ, როგორც სექტორული მოკვლევის, ისე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე უწყებასთან აქტიურად ითანამშრომლა და მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი წარმოადგინა. აღნიშნულის გათვალისწინებით ჯარიმა შემცირდა.

წყარო:





ჩეხეთის რესპუბლიკის კონსულენციის დაცვის ოფისი

ჩეხეთის რკინიგზას 150 000 კრონის ჯარიმა დაეკისრა



კონკურენციის დაცვის ოფისმა (ÚOHS) ჩეხეთის რკინიგზას () ფასების შესახებ კანონის საფუძველზე 150 000 კრონის ჯარიმა დააკისრა. დარღვევა შეეხებოდა ჰავლიჩკუვ-ბროდის სარკინიგზო სადგურში ავტომობილის სარეცხი სერვისის ფასების ჩანაწერების წარმოების ვალდებულების შეუსრულებლობას. სანქცია

გამოყენებულ იქნა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე წვდომის სფეროში უწყების კომპეტენციის ფარგლებში.

ჩეხეთის რკინიგზამ 2024 წელს ვერ უზრუნველყო ფასების ჩანაწერების სათანადო წარმოება. კონკრეტულად, საწარმომ ვერ წარმოადგინა ბუღალტრული ჩანაწერებიდან ის მონაცემები, რომლებიც ადასტურებდა, თუ როგორ განისაზღვრა ფასების გაანგარიშებაში ასახული ხარჯები. საწარმომ წარადგინა მხოლოდ არსობრივად რეგულირებული ფასების ფორმალური გაანგარიშება, მაგრამ განმეორებითი მოთხოვნების მიუხედავად ვერ ახსნა, თუ როგორ წარმოიშვა კონკრეტული ხარჯები ფასის გაანგარიშებაში და როგორ განისაზღვრა მათი ოდენობა. ფასების ჩანაწერების წარმოების ვალდებულება კანონით დაწესებული მოთხოვნაა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს საშუალებას აძლევს, შემდგომში გადაამოწმონ, ფასები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იყო თუ არა დადგენილი და გამოყენებული.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებასთან შედარებით, უწყების თავმჯდომარემ მტკიცებულებების გათვალისწინებით სამართალდარღვევის ხანგრძლივობა შემცირებულად დაადგინა 2024 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრამდე და შესაბამისად შეამცირა თავდაპირველად დაკისრებული სანქცია.

უწყების თავმჯდომარის პეტრ მლსნას განმარტებით, ფასების ჩანაწერების წარმოების ვალდებულების შეუსრულებლობა ვერ ჩაითვლება ფორმალურ შეცდომად, რომელიც სიმბოლური ჯარიმით ან სანქციისგან თავის შეკავებით შეიძლება გამართლდეს.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე წვდომის სფერო 2024 წლიდან ÚOHS-ის იურისდიქციაში შევიდა. გასულ წელს ამ სფეროში 291 ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო და ათი ჯარიმა დაეკისრა ჯამში 455 000 კრონის ოდენობით.

წყარო:



იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყება PHILIP MORRIS ITALIA-ს არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკისთვის 7 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა

უწყების შეფასებით, სარეკლამო მასალები მომხმარებლებს შეცდომაში შეჰყავს და პროდუქტების ჯანმრთელობისთვის უვნებლად ან სხვა თამბაქოს პროდუქტებთან შედარებით ნაკლებად მავნებლად წარმოდგენის შთაბეჭდილებას ქმნის.



იტალიის კონკურენციის უწყებამ Philip Morris Italia S.r.l.-ს არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის გამო 7 მილიონი ევროს ჯარიმა დააკისრა. ჯანდაცვის სამინისტროს საჩივრის საფუძველზე ჩატარებული კომპლექსური მოკვლევის შედეგად უწყებამ დაადგინა, რომ გამოთქმები „უკვამლო“, „უკვამლო პროდუქტები“ და „უკვამლო მომავლის მშენებლობა/დაგეგმვა/დაჩქარება“, რომლებიც კომპუსტიის გარეშე მოქმედი თამბაქოს პროდუქტების ფართო მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილს შეადგენს, მომხმარებლებს, მათ შორის არასრულწლოვნებს შეცდომაში შეჰყავს, ვინაიდან ქმნის შთაბეჭდილებას, რომ აღნიშნული პროდუქტები ჯანმრთელობისთვის უვნებელია და/ან სხვა თამბაქოს პროდუქტებთან, განსაკუთრებით ჩვეულებრივ სიგარეტთან შედარებით ნაკლებად მავნებელია.

მოკვლევის ფარგლებში ჩატარებული შემოწმებებით მოპოვებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ არსებული სამეცნიერო და კლინიკური ცოდნა არ იძლევა საფუძველს ამ პროდუქტების ნაკლებად მავნებლობის ან უვნებლობის შესახებ პრეტენზიებისთვის, მათ შორის ნიკოტინის შემცველობის გათვალისწინებით.

უწყებამ Philip Morris Italia S.r.l.-ს დაავალა, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან სამოცი დღის ვადაში აცნობოს მას აღნიშნული პრაქტიკის შეწყვეტისთვის მიღებული ზომების შესახებ.

წყარო:

02



იტალიის კონკურენციის უწყება

იტალიის კონკურენციის უწყება მოკვლევას იწყებს APPLE-ის მიმართ



იტალიის კონკურენციის უწყება იწყებს მოკვლევას Apple-ის მიმართ ციფრული ბაზრების აქტის საფუძველზე iOS და iPadOS ოპერაციული სისტემების ინტეროპერაბელობა ალტერნატიულ სამომხმარებლო ღრუბლოვანი სერვისებთან

ციფრული ბაზრების აქტი Apple-ს ავალდებულებს, მესამე მხარეებს

უზრუნველყოს iOS და iPadOS ოპერაციული სისტემებით კონტროლირებად აპარატურულ და პროგრამულ ფუნქციებთან თავისუფალი და ეფექტური ინტეროპერაბელობა.

იტალიის კონკურენციის უწყებამ მოკვლევა დაიწყო Apple Inc.-ის, Apple Distribution International Ltd-ისა და Apple Italia S.r.l.-ის (შემდგომში „Apple“) მიმართ ციფრული ბაზრების აქტით (შემდგომში „DMA“) დადგენილი ინტეროპერაბელობის ვალდებულების შესრულებასთან Apple-ის iOS და iPadOS ოპერაციული სისტემების შესაბამისობის თვალსაზრისით. DMA-ის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, Apple ვალდებულია, სამომხმარებლო ღრუბლოვანი სერვისების მესამე მხარის მიმწოდებლებს iOS და iPadOS ოპერაციულ სისტემებთან თავისუფალი და ეფექტური ინტეროპერაბელობა უზრუნველყოს და Apple-ის iCloud-ისთვის ხელმისაწვდომ აპარატურულ და პროგრამულ ფუნქციებზე წვდომის თანაბარი პირობები შეუქმნას.

უწყებას გააჩნია ინდიკაციები, რომ სამომხმარებლო დრუბლოვანი სერვისების მესამე მხარის მიმწოდებლები შესაძლოა Apple-ის iCloud-თან შედარებით არათანაბარ პირობებში იყვნენ კერძოდ, iCloud-ისთვის ხელმისაწვდომ ფუნქციებზე წვდომის არარსებობის გამო. ასე, Apple ალტერნატიულ დრუბლოვან სერვისებს არ უშვებს iOS და iPadOS-ის იმ ფუნქციების გამოყენებაში, რომლებიც მომხმარებლებს მოწყობილობის მონაცემთა სრული სარეზერვო ასლის შექმნის საშუალებას იძლევა, მაშინ როდესაც იგივე ფუნქციები Apple-ის iCloud-ისთვის ხელმისაწვდომია.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც უწყება DMA-ის 38(7) მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას ახორციელებს, რომელიც მას მიენიჭა 2023 წლის 30 დეკემბრის №214 კანონით „2022 წლის წლიური კანონი პროკონკურენტული რეფორმების შესახებ“ და კონკრეტულად მისი მე-18 მუხლით: „დონისძიებები ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის 2022/1925 (EU) რეგლამენტის განხორციელებისთვის ციფრულ სექტორში სადაო და სამართლიანი ბაზრების შესახებ“. აღნიშნული კანონის საფუძველზე, უწყება უფლებამოსილია DMA-ის ფარგლებში ევროპის კომისიას (შემდგომში „კომისია“) წინასწარი მოკვლევების ჩატარებაში მხარი დაუჭიროს. მოკვლევა კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით დაიწყო.

უწყების მიერ მოპოვებული მასალები კომისიას გადაეცემა, რათა კომისიამ DMA-ის ერთადერთ აღმასრულებელ ორგანოდ თავისი ფუნქციები სრულყოფილად განახორციელოს.

წყარო:



უნგრეთის კონკურენციის უწყება

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ ფასების უკანონო ზიქსაციისთვის კომპანიას 336 მილიონის ჯარიმა დააკისრა

უნგრეთის კონკურენციის უწყების (GVH) მოკვლევების თანახმად, უნგრეთის ერთ-ერთმა უმსხვილესმა უაღკოპოლო სასმელების მწარმოებელმა კონკურენცია შეზღუდა. Maspex Olympos Kft.-მ (პოლონური Maspex Group-ის უნგრული შვილობილი საწარმო) საბითუმო პარტნიორებს პროდუქტებზე მინიმალური ფასები დაუწესა. აღნიშნული აკრძალული ფასების ფიქსაციის შედეგად GVH-ის კონკურენციის საბჭომ საწარმოს დაახლოებით 336

მილიონი HUF-ის ჯარიმა დააკისრა. კომპანიამ უწყებასთან ითანამშრომლა და დარღვევა აღიარა.

უნგრეთის კონკურენციის უწყებამ 2022 წლის ბოლოს კონკურენციაზე ზედამხედველობის წარმოება დაიწყო და შემოწმება განახორციელა ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი უალკოჰოლო სასმელების მწარმოებლის, Maspex Olympos Kft.-ის (Maspex Kft.) მიმართ, რომელიც Olympos, Kubu, Apenta, Figo, Topjoy, Nestea და Tiger ბრენდების, ასევე რიგი ალკოჰოლური სასმელების ბრენდების უნგრულ დისტრიბუტორს წარმოადგენს.

პოლონური Maspex Group-ის უნგრული შვილობილი საწარმო კონკურენციის უწყების ყურადღების ცენტრში მოექცა სექტორული მოკვლევის ფარგლებში, რომელიც სასმელების დისტრიბუციაში ფართოდ გამოყენებული ფასდაკლების სქემებს, კომერციული კანონმდებლობის დაცვას და სასმელების მიწოდების გარკვეულ ხელშეკრულებებს შეეხებოდა. მოკვლევის დროს GVH-მა დაადგინა, რომ ერთ-ერთმა მთავარმა სუბიექტმა სავარაუდოდ პარტნიორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დადგინა მისი მიერ დისტრიბუციული პროდუქტების მინიმალური გადაყიდვის ფასები, რითაც ბაზარზე ფასის კონკურენცია შეიზღუდა.

GVH-მა დაადგინა, რომ Maspex Kft.-მ საბითუმო პარტნიორებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში განამტკიცა ვალდებულება, რომლის თანახმადაც პარტნიორებს მოეთხოვებოდათ მის მიერ წარმოებული ან დისტრიბუცირებული ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელებისთვის დადგენილი რეკომენდებული მინიმალური ფასების დაცვა. გარდა ამისა, საწარმო რეგულარულად ადგენდა და პარტნიორებს უგზავნიდა უალკოჰოლო სასმელების სარეკლამო ფასების ნუსხებს, რომლებშიც ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მათ არ შეეძლოთ ნუსხაში მითითებულ რეკომენდებულ მინიმალურ ფასებზე დაბლა გაყიდვა; ხოლო უფრო დაბალი ფასის გამოყენების შემთხვევაში, ვალდებულნი იყვნენ, სარეკლამო ფლაერებში კონკრეტული ფასის მაგივრად ისეთი სარეკლამო ტვირთი მიეთითებინათ, როგორებიცაა „TOP PRICE“ ან „BOMB PRICE“.

GVH-ის კონკურენციის საბჭომ დაადგინა, რომ Maspex Kft.-მ ჩაიდინა კონკურენციის შეზღუდვისკენ მიმართული სისტემური და უწყვეტი დარღვევა, რითაც დაირღვა როგორც უნგრული, ისე ევროპული კანონმდებლობა. საქმის წარმოების განმავლობაში საწარმომ GVH-თან ითანამშრომლა და მორიგების პროცედურის ფარგლებში დარღვევა აღიარა. აღნიშნულის გათვალისწინებით, GVH-ის კონკურენციის საბჭომ საწარმოს დაახლოებით 336 მილიონი HUF-ის ჯარიმა დააკისრა. ამასთან, საწარმოს ევალება, საქმის წარმოების დაწყების შემდეგ შემოღებული შესაბამისობის პროგრამა კიდევ ორი წლის განმავლობაში შეინარჩუნოს.

გადაყიდვის ფასის შენარჩუნება (Resale Price Maintenance - RPM) წარმოადგენს მწარმოებელსა და საცალო მოვაჭრეს შორის შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც მწარმოებელი პროდუქტიაზე ფიქსირებულ ან მინიმალურ საცალო ფასს ადგენს. RPM ზღუდავს საცალო მოვაჭრეებს შორის ფასის კონკურენციას, ხელს უშლის მათ ერთმანეთზე დაბალი ფასის შეთავაზებაში და საბოლოოდ მომხმარებლებისთვის ხელოვნურად მაღალ ფასებს ინარჩუნებს. ეს პრაქტიკა კონკურენციის სამართლის სერიოზულ დარღვევას

წარმოადგენს როგორც ევროკავშირში, ისე უნგრეთში. საცალო მოვაჭრეთა ფასწარმოქმნის თავისუფლების შეზღუდვა უკანონოა მაშინაც კი, თუ ეს მხოლოდ სახელშეკრულებო დებულებებშია ასახული და პრაქტიკაში მინიმალური ფასები ფაქტობრივად არ გამოიყენება როგორც ეს წარმოებულ საქმეში გარკვეული პროდუქტების კატეგორიების შემთხვევაშია. ასეთი პრაქტიკაც კი ამცირებს საცალო მოვაჭრეთა სტიმულს ფასების შემცირებისთვის ან შესაძლო სახელშეკრულებო დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ან იმ გონივრული მოლოდინის გამო, რომ მსგავსი სახელშეკრულებო პირობების გათვალისწინებით კონკურენტებიც ფასებს არ შეამცირებენ.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონკურენციაზე ზედამხედველობის დამატებითი წარმოებები, რომლებიც მოიცავს არა მხოლოდ Maspex Kft.-ს, არამედ ასევე ადგილობრივ საცალო ქსელებს (Aldi, Auchan, CBA, Coop, Spar, Tesco).

წყარო:



ხორვატიის კონკურენციის უწყება

არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკისთვის ჯარიმა 300 000 ევრო

ხორვატიის კონკურენციის უწყებამ (CCA) KAUF LAND HRVATSKA k.d.-ს სასურსათო მიწოდების ჯაჭვში არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ კანონის (UTPs Act) დარღვევისთვის 300 000 ევროს ჯარიმა დააკისრა.

CCA-მ მოკვლევა საკუთარი ინიციატივით დაიწყო, რათა დაედგინა, გამოიყენა თუ არა KAUF LAND-მა მომწოდებლებთან მოლაპარაკებებში ძლიერი სარეიტინგო პოზიცია არაკეთილსინდისიერი სავაჭრო პრაქტიკის დასაწესებლად. 10 შემთხვევით შერჩეული მომწოდებლის ხელშეკრულების შემოწმების შედეგად CCA-მ დაადგინა სამი დარღვევა: KAUF LAND-მა გაანაცხადებინა ან მოითხოვა გადახდა გაუწეველ მომსახურებაში; ერთ-ერთ მომწოდებელს დააკისრა საფასური თვითნებურად განხორციელებული სარეკლამო მომსახურებისთვის, წერილობითი თხოვნისა და ობიექტური საფუძვლის გარეშე; და ხრწნადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე გადახდა არ განახორციელა კანონით დადგენილ 30-დღიან ვადაში.

ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას CCA-მ გაითვალისწინა დარღვევის სიმძიმე, მოცულობა და ხანგრძლივობა, ასევე შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. დამამძიმებლად მიჩნეულ იქნა ის ფაქტი, რომ KAUF LAND-ს 2020 წელს უკვე დაეკისრა ჯარიმა ანალოგიური დარღვევისთვის, რაც, CCA-ს შეფასებით, ადასტურებს, რომ წინა სანქციამ სათანადო პრევენციული ეფექტი ვერ გამოიღო.

CCA-ს განმარტებით, UTPs Act-ის საფუძველზე დაკისრებული ჯარიმის მიზანია არა მხოლოდ სამართალდამრღვევის დასჯა, არამედ სასურსათო მიწოდების ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის სამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის უზრუნველყოფა და ზოგადი პრევენციული ეფექტის მიღწევა.

წყარო:



თურქეთის კონკურენციის უწყება

თურქეთში THREAD-ის ხელახალი გაშვება



თურქეთის კონკურენციის უწყებამ 2023 წელს წინასწარი მოკვლევა დაიწყო META-ს მიმართ იმ ბრალდების საფუძველზე, რომ კომპანიამ კონკურენციის დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლი დაარღვია Threads-ის Instagram-თან მიზმიტ. მოკვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ Threads-სა და Instagram-ს შორის მონაცემები გაერთიანდა, რის გამოც საბჭომ 2023 წლის ნოემბერში მოკვლევა დააწყო.

მოკვლევის ფარგლებში უწყებამ META-ს დროებითი ღონისძიება დააკისრა- მონაცემთა გაერთიანების შეჩერების მოთხოვნა. META-მ ამის შემდეგ თურქეთში Threads-ის ოპერირება საერთოდ შეაჩერა, თუმცა წინა პერიოდისთვის, როცა მოთხოვნა შესრულებული არ იყო, კომპანიას ადმინისტრაციული ჯარიმაც დაეკისრა.

შემდგომში META-მ წარადგინა ვალდებულებები მიზმასა და მონაცემთა გაერთიანების პრობლემის მოსაგვარებლად, რომლებიც საბჭომ 2024 წლის ნოემბერში სავალდებულოდ გამოაცხადა და მოკვლევა დასრულდა. ამ ვალდებულებების მიხედვით, META-ს დაევალა,

რომ Threads-ის თურქეთში ხელახალი გაშვებისას მომხმარებლებს მისცემს საშუალებას, აირჩიონ Threads-ით სარგებლობა Instagram-ის ანგარიშის გარეშე.

META-ს განაცხადი ხელახალი გაშვების შესახებ საბჭომ განიხილა და 2026 წლის 10 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ კომპანიის წარდგენილი გეგმა სავალდებულო ვალდებულებებთან შესაბამისობაშია.

შედეგად, თურქეთში Threads-ის ხელახალი გაშვებისას მომხმარებელს ექნება ორი ვარიანტი: სარგებლობა Threads-ით Instagram-ის ანგარიშის მეშვეობით, ან ანგარიშის შექმნა მხოლოდ ტელეფონის ნომრით, Instagram-ისგან დამოუკიდებლად, ამ შემთხვევაში მომხმარებლის Instagram-მონაცემები Threads-ის მონაცემებთან არ გაერთიანდება.

წყარო:





ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

კონკურენციის სამართლის დარღვევები

დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ არასამართლიანი (ზედმეტად მაღალი) ფასების დაწესება - „UNFAIR PRICE“-ის კონცეფცია

Autortiesību un komunikācijas konsultāciju aģentūra/Latvijas Autoru apvienība v Konkurences padome (C-177/16) - სრული გადაწყვეტილება იხილეთ ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62016CJ0177>

1. ფაქტობრივი გარემოებები და ლატვიის სასამართლოს გადაწყვეტილება

AKKA/LAA წარმოადგენს კოლექტიური მართვის ორგანიზაციას, რომელიც მართავს მუსიკალური ნაწარმოებების ავტორების საავტორო უფლებებს. იგი არის ერთადერთი სუბიექტი ლატვიაში, რომელსაც უფლებამოსილება აქვს, ანაზღაურების სანაცვლოდ, გასცეს ლიცენზიები იმ მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულებისთვის, რომელთა საავტორო უფლებებსაც იგი მართავს. იგი აგროვებს ჰონორარებს, საიდანაც ანაზღაურებას იღებენ როგორც ლატვიელი, ისე უცხოელი ავტორები. AKKA/LAA-ის ლიცენზიის მფლობელები არიან მაღაზიები და მომსახურების ცენტრები, როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნაწარმოებების მომხმარებლები.

2008 წლის 1 დეკემბერს ლატვიის კონკურენციის საბჭომ AKKA/LAA დააჯარიმა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისთვის, რადგან მას დაწესებული ჰქონდა შეუსაბამოდ მაღალი ტარიფები. მოკვლევის შედეგად გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე კომპანიამ დაადგინა ახალი ფასები. ლატვიის კონკურენციის საბჭომ 2012 წლის 31 მაისს კვლავ დაიწყო AKKA/LAA-ის მიერ დადგენილი ახალი ტარიფების სამართლიანობის შესწავლა.

ფასების სამართლიანობის განსაზღვრის მიზნით საბჭომ გამოიყენა ე.წ შედარების მეთოდი და AKKA/LAA-ს მიერ დაწესებული ტარიფები შეადარა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში - ლიეტუვასა და ესტონეთში მსგავს მომსახურებაზე არსებულ ფასებს და დაადგინა, რომ 81 მ²-დან 201–300 მ²-მდე ფართობებისთვის, ლატვიაში ტარიფები მინიმუმ ორჯერ მაღალი იყო, ვიდრე ესტონეთსა და ლიეტუვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე AKKA/LAA შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კერძოდ შეუსაბამოდ მაღალი ფასის დაწესების გამო დაჯარიმდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ

კომპანიისთვის დაკისრებული ჯარიმის გამოთვლისას წლიურ ბრუნვაში შეყვანილი იყო ავტორებისთვის გადასახდელი ჰონორარების ღირებულებაც, რაც მოგვიანებით სადავო გახდა მხარის მიერ.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ადგილობრივ სასამართლოში. ამ უკანასკნელმა კონკრეტული საკითხების განმარტებისთვის მიმართა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს. კერძოდ, ლატვიის სასამართლოს აინტერესებდა შესაძლებელია თუ არა კომპანიის მიერ დაწესებული ფასების სამართლიანობის შეფასების მიზნით მისი შედარება ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში ამავე კომპანიის მიერ დაწესებულ ფასებთან და ამ შედარების დროს გამოყენებული უნდა იქნას თუ არა ე.წ. PPP ინდექსი (სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათანაბრების მეთოდოლოგია). ასევე, ფასების შედარება უნდა განხორციელდეს მომხმარებელთა კონკრეტული სეგმენტების მიხედვით თუ საშუალო ფასის დონესთან მიმართებაში. გარდა აღნიშნულისა, ინტერესის საგანს წარმოადგენდა ის, თუ როდის უნდა ჩაითვალოს ფასების სხვაობა მნიშვნელოვნად და რა მტკიცებულებების/არგუმენტაციის წარდგენა შეუძლია კომპანიას თავის მიერ დაწესებული შესაძლო მაღალი ფასების გამართლების მიზნით. ლატვიის სასამართლომ, ასევე, იკითხა - კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრების დროს მისი წლიური ბრუნვის ოდენობაში გათვალისწინებული უნდა იქნას თუ არა ავტორებისთვის გადასახდელი ჰონორარების ოდენობა.

2. დომინანტობა (საბაზრო წილი და ა.შ) – ვინაიდან AKKA/LAA ლატვიაში არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც გასცემს ლიცენზიებს, იგი ფლობს დომინანტურ პოზიციას შიდა ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილზე (102-ე მუხლის ფარგლებში).

3. სასამართლოს მსჯელობა არასამართლიანად მაღალი ფასის შეფასების შესახებ

გადაწყვეტილებაში სასამართლომ იმსჯელა იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას საქონლის/მომსახურების ფასის სამართლიანობის შესაფასებლად. იგი დაეყრდნო კლასიკურ ორეტპიან ტესტს საქმიდან **United Brands v Commission** და განმარტა, რომ პირველ რიგში უნდა შეფასდეს არის თუ არა სხვაობა ფასსა და რეალურ ეკონომიკურ ღირებულებას შორის **ზედმეტად მაღალი** და თუ მაღალია ამის შემდეგ უნდა დადგინდეს ეს ფასი მაღალია **თავისთავად თუ კონკურენტ პროდუქტთან შედარებით**. სასამართლო, ასევე განმარტავს, რომ

- ფასების შედარება სხვა წევრ სახელმწიფოებში არსებულ პროდუქტის/მომსახურების ფასებთან არის ლეგიტიმური მეთოდი. რადგან თუ დომინანტი სუბიექტის ტარიფები „შესამჩნევად მაღალია“ სხვა ქვეყნებთან შედარებით - ეს შეიძლება იყოს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ინდიკატორი. ამასთან, არ არის აუცილებელი შედარება განხორციელდეს ყველა წევრ სახელმწიფოში არსებულ ფასებთან, საკმარისია თუნდაც ორი ქვეყანის ფასებთან შედარება, მთავარია იგი იყოს **კონტექსტურად შესაბამისი და თანმიმდევრული მეთოდოლოგიით ჩატარებული**.



- მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტების ან ქვეყნის საშუალო ტარიფის შედარებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) ინდექსი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ვალუტის მსყიდველობითი უნარის გათანაბრების მეთოდოლოგიას. აღნიშნული აუცილებელია, რადგან ერთსა და იმავე მომსახურებაზე ფასების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. როგორც წესი, ეს განსხვავება განპირობებულია კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობითა და მოსახლეობის შემოსავლის დონით.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა ტარიფები განსხვავდებოდეს მომხმარებელთა სხვადასხვა სეგმენტის მიხედვით, მიზანშეწონილია, შედარებითი ანალიზი განხორციელდეს სწორედ კონკრეტული სეგმენტების მხედველობაში მიღებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნიშნები, რომ შესაძლოა გადაჭარბებული ტარიფები ამ კონკრეტულ სეგმენტს ზიანს აყენებს.

განსახილველ საქმეში, „მომხმარებელთა სეგმენტები“ გულისხმობს სხვადასხვა ზომის კომერციულ ობიექტებს - მაგალითად, კონკრეტული ფართობის მქონე მაღაზიებსა და სერვისცენტრებს - რომლებიც საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ნამუშევრების გამოყენების მიზნით ფლობენ AKKA/LAA-ის მიერ გაცემულ ლიცენზიებს.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ თუ დომინანტი ეკონომიკური აგენტი აწესებს ტარიფებს, რომლებიც *აშკარად მაღალია* სხვა წევრ სახელმწიფოებთან შედარებით, ეს შესაძლოა მიუთითებდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე. თუმცა, ეს საკმარისი არაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს რამდენად მუდმივი და მნიშვნელოვანია ფასებს შორის სხვაობა. სხვაობა უნდა იყოს არა დროებითი ან ეპიზოდური, არამედ მნიშვნელოვანი და მუდმივი. მნიშვნელოვანი სხვაობა ფასდება ინდივიდუალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბაზარზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ეკონომიკურ აგენტს აქვს განხორციელებული ქმედების გამართლების შესაძლებლობა. კერძოდ, მან შეიძლება წარმოადგინოს ობიექტური მიზეზები/მტკიცებულებები ფასებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის გასამართლებლად – მაგალითად, განსხვავებული ადმინისტრირების ხარჯები, ბაზრის სპეციფიკა, ან სპეციფიკური საკანონმდებლო რეგულაცია.

სასამართლომ ჯარიმის ოდენობის გამოთვლასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადასტურების შემთხვევაში საავტორო უფლებების მფლობელებისთვის განკუთვნილი ანაზღაურება გათვალისწინებული უნდა იქნეს მის წლიურ ბრუნვაში ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, იმ პირობით, რომ ეს ანაზღაურება წარმოადგენს კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ნაწილს და მისი ჩართვა აუცილებელია იმისთვის, რომ სანქცია იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი.



ლატვიის უზენაესმა სასამართლომ სრულად გაითვალისწინა CJEU-ს მსჯელობა, გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და უკან დაუბრუნა ხელახლა განსახილველად. გადაწყვეტილების გაუქმების ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ამ უკანასკნელმა თავის გადაწყვეტილებაში საკმარისად არ დაასაბუთა იმ ბაზრების მსგავსება, რომლებიც გამოიყენა ფასების შედარებისთვის, ასევე, შედარებისას არ გამოიყენა PPP ინდექსი. გარდა აღნიშნულისა ქვედა ინსტანციამ არ იმსჯელა იმაზე თუ როგორ უნდა იქნას გათვალისწინებული ავტორებისთვის გადახდილი ჰონორარი კომპანიის წლიურ ბრუნვაში ჯარიმის განსაზღვრის დროს.¹

დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ მიწოდებაზე უარის თქმა

Alphabet Inc., Google LLC, Google Italy Srl v Autorità Garante della Concorrenza e del Mercato, (C-233/23) - სრული გადაწყვეტილება იხილეთ ბმულზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:62023CJ0233>

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

დავა წარმოიშვა Alphabet Inc.-ს, Google LLC-სა და Google Italy Srl-ს და იტალიის კონკურენციის ორგანოს - Autorità Garante della Concorrenza e del Mercato (AGCM) შორის. AGCM-ის 2021 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ Google-ის ქცევა წარმოადგენდა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რაც გამოიხატა მესამე პირის აპლიკაციის - JuicePass-ის - Android Auto-თან ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფაზე უარში. საქმის მიხედვით, Google-მა შეიმუშავა Android OS ოპერაციული სისტემა და Android Auto პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მობილური აპლიკაციები გამოიყენონ ავტომობილის ინფოტეინმენტ-სისტემის ეკრანზე, ხოლო ინტეგრაცია ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული შაბლონების მეშვეობით. 2018 წელს ელექტრომობილების დამუშავების აპებისთვის შესაბამისი შაბლონი არ არსებობდა.

Enel X Italia Srl-მა 2018 წელს გამოუშვა JuicePass აპლიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრომობილების დამტენი სადგურების მოძიებას, დაჯავშნასა და დამუშავების

¹ https://www.at.gov.lv/lv/jaunumi/par-tiesu-lietam/dispute-between-akkalaa-and-the-competition-council-on-the-penalties-imposed-on-the-association-is-referred-for-re-examination-8742?utm_source=chatgpt.com

პროცესის მართვას და Google-ს მიმართა მოთხოვნით, უზრუნველყო მისი ურთიერთთავსებადობა Android Auto-სთან. თუმცა, Google-მა უარი განაცხადა უსაფრთხოებისა და რესურსების განაწილების არგუმენტებზე მითითებით. AGCM-მ დაასკვნა, რომ აღნიშნულმა უარმა და შემდგომმა დაყოვნებამ უსაფუძვლოდ შეაფერხა JuicePass-ის ხელმისაწვდომობა Android Auto-ზე, შექმნა არათანაბარი კონკურენტული პირობები და გაუტოლდა მიწოდებაზე უარს (refusal to supply), რითაც დაირღვა TFEU-ის Article 102-ე მუხლი. შედეგად კომპანიებს დაეკისრათ 102 084 433.91 ევროს ოდენობის ჯარიმა. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა ადგილობრივ სასამართლოში, Google ამტკიცებდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ ყოფილა შეფასებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დადგენისთვის აუცილებელი პირობები. კერძოდ, არ შეფასებულა Android Auto-ზე წვდომის აუცილებლობა (indispensability), ასევე სათანადო არ განსაზღვრულა შესაბამისი ბაზარი. გარდა აღნიშნულისა, Google მიუთითებდა ობიექტური გამართლების არსებობაზე, რომელიც მხედველობაში არ იქნა მიღებული.

იტალიის კონკურენციის ორგანოს და შემდეგ ადგილობრივი სასამართლოს შეფასებით, Google ფლობს ინფრასტრუქტურას (Android Auto და მთლიანად Android ეკოსისტემა (Android + Google Play + Android Auto), რომელიც მიიჩნევა ბაზრის ისეთ მნიშვნელოვან ბარიერად, რომ სხვა კომპანიებს (მაგ. Enel X Italia) სათანადო წვდომის გარეშე არ შეუძლიათ ამ აპების სრულფასოვანი მოპოვება/გამოყენება.

აღნიშნულ პლატფორმაზე Google-ს აქვს სრული კონტროლი, რადგან:

- Android OS-ს Google ანიჭებს ლიცენზიას
- Google Play არის მთავარი არხი აპების განთავსებისთვის
- Android Auto-ზე წვდომის ლოგიკა განსაზღვრულია Google-ის მიერ

ამიტომ, ზედა ბაზარზე, ანუ იმ ბაზარზე, სადაც პლატფორმის მფლობელი ქმნის ტექნიკურად აუცილებელ პირობებს აპების თავისუფალი ფუნქციონირებისთვის, დომინანტ კომპანიად მიჩნეული იქნა Google.

რაც შეეხება ქვედა ბაზარს, იტალიის კონკურენციის ორგანომ დაადგინა, რომ Google-ის სადავო ქცევის ანტიკონკურენტული ეფექტები ვლინდებოდა ქვედა ბაზარზე, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან ელექტრომობილების დამტენი სადგურების მოძიებისა და ნავიგაციის სერვისების მიმწოდებელი აპლიკაციები, მათ შორის **JuicePass** და **Google Maps**. უწყების მიერ ქვედა ბაზრის ზუსტი გეოგრაფიული და პროდუქციული საზღვრები დადგენილი არ იქნა და სწორედ ეს წარმოადგენდა ერთ-ერთ შესაფასებელ საკითხს, რომელიც დასმული იქნა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე.

2. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდი პალატის მსჯელობა

2.1. აუცილებლობის (indispensability) კრიტერიუმი



ეროვნული სასამართლო ითვალისწინებს იმ წინაპირობას, რომ Android Auto წარმოადგენს ციფრულ ინფრასტრუქტურას, სადავო პერიოდში Google LLC დომინანტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა შესაბამის ბაზარზე და მან უარი თქვა მესამე პირის მიერ შექმნილი აპლიკაციის პლატფორმასთან ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფაზე.

სასამართლოსთვის საკვანძო საკითხია, უნდა გავრცელდეს თუ არა 1998 წლის 26 ნოემბრის Bronner-ის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული კრიტერიუმები (განსაკუთრებით „აუცილებლობის“ - indispensability - მოთხოვნა) ციფრული პლატფორმების კონტექსტში, თუ მათი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს მოქნილად, ციფრული ბაზრების სპეციფიკის გათვალისწინებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს დიდმა პალატამ განმარტა, რომ TFEU-ის 102-ე მუხლი კრძალავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რომელიც ზღუდავს კონკურენციას და ზიანს აყენებს მომხმარებლებს. სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ინფრასტრუქტურაზე წვდომაზე უარი შეიძლება შეფასდეს ბოროტად გამოყენებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

- უარი გამორიცხავს ეფექტიან კონკურენციას;
- არ არსებობს ობიექტური გამართლება; და
- ინფრასტრუქტურა არის აუცილებელი (არ არსებობს რეალური ან პოტენციური ალტერნატივა).

თუმცა, ეს კრიტერიუმები ჩამოყალიბდა ისეთ ვითარებაში, როდესაც დომინანტურმა საწარმომ ინფრასტრუქტურა შექმნა მხოლოდ საკუთარი საქმიანობისთვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ ინფრასტრუქტურა თავიდანვე შეიქმნა არა მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის, არამედ მესამე პირების გამოყენებისთვისაც, და დომინანტური საწარმო უკვე ანიჭებს წვდომას მესამე პირებს, მაშინ „აუცილებლობის“ მკაცრი მოთხოვნა არ არის ავტომატურად გამოყენებადი.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ TFEU-ის 102-ე მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ დომინანტური საწარმოს მიერ განვითარებულ ციფრულ პლატფორმაზე მესამე პირის აპლიკაციასთან ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფაზე უარი შეიძლება წარმოადგენდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, თუნდაც ეს პლატფორმა არ იყოს აუცილებელი (indispensable) იმ აპლიკაციის კომერციული საქმიანობისთვის ქვედა ბაზარზე.

2.2 კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტის შეფასება

სასამართლომ განმარტა, რომ TFEU-ის 102-ე მუხლის დარღვევის დასადგენად არ არის აუცილებელი დამტკიცდეს კონკურენტების ფაქტობრივი გამოდევნა ბაზრიდან.



საკმარისია დადგინდეს, რომ დომინანტი საწარმოს ქცევას ჰქონდა რეალური ან პოტენციური უნარი, შეეზღუდა კონკურენცია კონკურენციის ფარგლებს გარეთ მოქმედი საშუალებებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას ხელშესახები მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ქმედება რეალურად იყო კონკურენციის შეზღუდვის უნარის მქონე. უბრალო ჰიპოთეზა ან ვარაუდი საკმარისი არ არის.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ:

- ბაზარზე კონკურენციის დონის შენარჩუნება ან თუნდაც ზრდა არ ნიშნავს ავტომატურად, რომ სადავო ქცევა ვერ იქნებოდა კონკურენციის საწინააღმდეგო;
- კონკურენტების უნარი შეამსუბუქონ დომინანტური საწარმოს ქცევის შედეგები არ შეიძლება იყოს გადამწყვეტი ფაქტორი ბოროტად გამოყენების შეფასებისას;
- არ გამოირიცხება, რომ სადავო ქცევის არარსებობის შემთხვევაში კონკურენცია ბაზარზე კიდევ უფრო ინტენსიურად განვითარებულიყო.

კონკრეტულ საქმეში, ის ფაქტი, რომ Enel X Italia და მისი კონკურენტები აგრძელებდნენ ოპერირებას და ზრდას, თავისთავად არ ამტკიცებს, რომ Google LLC-ის უარი Android Auto-სთან ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფაზე ვერ გამოიწვევდა ანტიკონკურენტულ ეფექტს.

2.3. ობიექტური გამართლება და პროდუქტის არარსებობა მოთხოვნის მომენტში

საქმეში დადგინდა, რომ Enel X Italia-მ მიმართა Google-ს, რათა მის მიერ შექმნილი აპლიკაცია გამხდარიყო თავსებადი Android Auto-თან. მოთხოვნის დროს ელექტრომობილების დამტენი სერვისების კატეგორიისთვის შესაბამისი ტექნიკური შაბლონი (template) არ არსებობდა. მოგვიანებით, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას, Google-მა შეიმუშავა ექსპერიმენტული შაბლონი (template), თუმცა ეს მოხდა მოთხოვნის წარდგენის შემდეგ.

სასამართლომ იმსჯელა იმის შესახებ შეიძლება თუ არა შაბლონის არქონა წარმოადგენდეს ობიექტურ გამართლებას დომინანტური საწარმოს უარისთვის და ვალდებულია თუ არა იგი თავად შეიმუშავოს ეს შაბლონი. მსჯელობისას განიმარტა, რომ TFEU-ის 102-ე მუხლის ფარგლებში დომინანტურ საწარმოს შეუძლია წარმოადგინოს ობიექტური გამართლება იმ ქცევისთვის, რომელიც პოტენციურად ანტიკონკურენტულია. კერძოდ, მან შეიძლება დაასაბუთოს, რომ:

- ურთიერთთავსებადობის უზრუნველყოფა და შესაბამისი შაბლონის შექმნა დააზიანებდა პლატფორმის მთლიანობას ან უსაფრთხოებას; ან
- ტექნიკური მიზეზების გამო ასეთი თავსებადობა ობიექტურად შეუძლებელი იყო.



თუმცა, შაბლონის უბრალო არქონა ან მისი შექმნის სირთულე თავისთავად არ წარმოადგენს საკმარის ობიექტურ გამართლებას. ასეთ შემთხვევაში დომინანტურ საწარმოს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება შეიმუშაოს შესაბამისი შაბლონი გონივრულ და აუცილებელ ვადაში, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.4. შესაბამისი ქვედა (downstream) ბაზრის განსაზღვრა

ევროსასამართლომ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ TFEU-ის 102-ე მუხლის გამოყენებისას, როგორც წესი, აუცილებელია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა დომინანტური მდგომარეობის დასადგენად. ასეთი განსაზღვრა ადგენს იმ ეკონომიკურ საზღვრებს, რომლებშიც უნდა შეფასდეს, შეუძლია თუ არა საწარმოს კონკურენტებისგან, მომხმარებლებისა და კლიენტებისგან არსებითად დამოუკიდებელი ქცევა.

თუმცა, უარის ბოროტად გამოყენების შეფასებისას საჭიროა ორი ბაზრის გარჩევა:

1. **ზედა დონის (upstream) ბაზარი** — სადაც მოქმედებს დომინანტური საწარმო და რომელსაც ეკუთვნის ციფრული პლატფორმა (მაგ., Android Auto);
2. **ქვედა დონის (downstream) ბაზარი** — სადაც გამოიყენება მესამე პირის აპლიკაცია და სადაც შეიძლება გამოვლინდეს ანტიკონკურენტული ეფექტი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ TFEU-ს 102-ე მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ქვედა ბაზრის ზუსტი პროდუქციული და გეოგრაფიული ფარგლების დეტალური განსაზღვრა ყოველთვის *აუცილებელი არ არის*. გარკვეულ გარემოებებში საკმარისია პოტენციური ან თუნდაც ჰიპოთეტური ბაზრის იდენტიფიცირება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აღნიშნული ბაზარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების (ამ შემთხვევაში ციფრული ბაზარი) პროცესშია ან სწრაფად ვითარდება.

იტალიის სასამართლომ სრულად გაითვალისწინა CJEU-ის განმარტებები და თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ქვედა ბაზარი შეიძლება იყოს პოტენციური, მისი ზუსტი გეოგრაფიული ან პროდუქციული საზღვრების დადგენა აუცილებელი არ არის. საკმარისია იმის დადგენა, რომ დომინანტური პლატფორმის მიერ აპლიკაციის ინტეგრაციაზე უარმა შესაძლოა კონკურენცია ან ბაზრის ზრდა შეაფერხოს. გადაწყვეტილებით, ასევე დადგინდა, რომ დომინანტური პოზიციის მქონე კომპანია, როგორიცაა Google, შეიძლება ჩაითვალოს კონკურენციის შემზღუდველად, თუნდაც ქვედა ბაზარი მხოლოდ პოტენციური იყოს და აპლიკაციის კომერციული ფუნქციონირება სხვა გზებით შესაძლებელი იყოს. გარდა ამისა, Android Auto-ზე წვდომა განისაზღვრა „აუცილებლად“ საჭირო პირობად JuicePass-ისთვის, რათა მომხმარებლებისთვის შექმნილიყო უსაფრთხო და მოსახერხებელი გარემო.²

² <https://www.eius.it/giurisprudenza/2025/6303465>

დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ დაშვებაზე უარის თქმა

Lukoil Bulgaria და *Komisija za zashtita na konkurenciata* (C-245/24) - სრული გადაწყვეტილების ბმული:

<https://infocuria.curia.europa.eu/tabs/document?source=document&text=&docid=307236&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=7735936>

უკანასკნელ წლებში სასამართლო პრაქტიკამ თანდათან შეამცირა „ბრონერის ტესტის“³ გამოყენების არეალი. მაგალითად, *Lietuvos geležinkeliai* (C-42/21) საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ ტესტის გამოყენება აზრს კარგავს მაშინ, როდესაც დომინანტ კომპანიას ისედაც აკისრია ინფრასტრუქტურაზე წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულება. მოგვიანებით, *Google Auto* (C-233/23) საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული ტესტის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელი ინფრასტრუქტურა შექმნა დომინანტმა საწარმომ შიდა მოხმარებისთვის და იამავედროულად ის ამავე საწარმოს საკუთრებაშია.

არსებული პრაქტიკის პარალელურად, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო „ბრონერის ტესტის“ გამოყენებასთან დაკავშირებით *Lukoil*-ის საქმეში (C-245/24). აღნიშნული განმარტება განსაკუთრებით საინტერესოა ბოლოდროინდელი პრაქტიკის ფონზე, რომელიც მიდრეკილია ტესტის გამოყენები ვიწრო გაგებისკენ.

1. ფაქტობრივი გარემოებები

ბულგარეთის კონკურენციის ეროვნულმა ორგანომ 2023 წელს კომპანია *Lukoil*-ს 100 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა, რადგან კომპანიამ უარი განაცხადა მესამე პირთა დაშვებაზე/წვდომაზე გარკვეულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე. აღნიშნულ დავაში *Lukoil*-ი უთითებდა, რომ კომპანიებს უნდა დაედასტურებინათ, რომ დომინანტი კომპანიის ინფრასტრუქტურაზე წვდომა ერთადერთი და აუცილებელი საშუალება იყო მათი ოპერირებისთვის. თუ ამას ვერ დაამტკიცებდნენ, მას უფლება ჰქონდა უარი ეთქვა ასეთ დაშვებაზე.

ბულგარეთის მარეგულირებელმა ორგანომ, ჩათვალია რომ აღნიშნულ შემთხვევაში „ბრონერის ტესტის“ გამოყენება არალერევანტური იყო, რადგან არსებული ინფრასტრუქტურა თავდაპირველად სახელმწიფო საკუთრება იყო და *Lukoil*-ს პრივატიზაციის ხელშეკრულებით გადაეცა, რომლის საფუძველზეც, ინფრასტრუქტურაზე

³ „ბრონერის ტესტი“ წარმოადგენს CJEU- მიერ დამკვიდრებულ სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც გამოიყენება იმის შესაფასებლად, წარმოადგენს თუ არა დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარ ინფრასტრუქტურაზე ან მომსახურებაზე წვდომის აკრძალვა კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებას.

წვდომის დაშვების ვალდებულება ისედაც ჰქონდა, თუმცა აღნიშნული მსჯელობა CJEU-მ არ გაიზიარა.

2. აუცილებელი ინფრასტრუქტურა

სადავო ინფრასტრუქტურა თავდაპირველად სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოს ნაწილი იყო, თუმცა 1999 წელს, პრივატიზაციის პროგრამის ფარგლებში, ის გადაეცა Lukoil-ს, რის საფუძველზეც მესაკუთრემ აიღო ვალდებულება, განეხორციელებინა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში და უზრუნველყო მასზე მესამე პირთა წვდომა.

3. ბულგარეთის კონკურენციის ორგანოს მსჯელობა

ბულგარეთის კონკურენციის ორგანომ მიიჩნია, რომ აღნიშნულ დავაში „ბრონერის ტესტის“ გამოყენება არალერევანტური იყო, რადგან Lukoil-ს პრივატიზაციის ხელშეკრულებით უკვე ჰქონდა აღებული ისეთი ვალდებულება, რაც მესამე პირებისთვის ინფრასტრუქტურაზე წვდომის დაშვებას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, მან არ გაიზიარა დომინანტი კომპანიის პოზიცია, რომ მხარეებს უნდა დაემტკიცებინათ ინფრასტრუქტურაზე წვდომის აუცილებელი საჭიროება. ამასთან, კონკურენციის ორგანომ იმსჯელა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სადავო ინფრასტრუქტურა (ნავთობსადენები და ნავთობის საცავები) თავდაპირველად სახელმწიფო სახსრებით აშენდა, რაზეც არ შეიძლება გავრცელებულიყო ის მიდგომები, რასაც „ბრონერის ტესტი“ მოიცავს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას კომპანია Lukoil-ი არ დაეთანხმა, ის გასაჩივრდა ეროვნულ სასამართლოში და გასაჩივრებული გადაწყვეტილება განმარტებებისთვის CJEU-მდე მივიდა.

4. სასამართლოს მსჯელობა

სასამართლომ, პირველ რიგში, განმარტა, რომ TFEU-ს 102-ე მუხლის მიზნებისთვის, გადაწყვეტა არა ის, თუ რა სამართლებრივი ფორმით ფლობს საწარმო ინფრასტრუქტურას, არამედ ის, გააჩნია თუ არა მას კონტროლის რეალური შესაძლებლობა და ავტონომია, რათა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება წვდომის დაშვებაზე ან მასზე უარის თქმაზე. სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ ინფრასტრუქტურა თავდაპირველად სახელმწიფო სახსრებით აშენდა, ავტომატურად არ გამორიცხავს ტესტის გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, თუ დომინანტურმა კომპანიამ აღნიშნული აქტივები შეიძინა ბაზრის შესაბამის და სამართლიან ფასად პრივატიზაციის ფარგლებში, მასზე ვრცელდება „ბრონერის ტესტის“ კრიტერიუმები,

5. სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთის კონკურენციის ორგანოს არ უნდა აევლო გვერდი „ბრონერის ტესტისთვის“ მხოლოდ იმის გამო, რომ ინფრასტრუქტურა ადრე სახელმწიფო საკუთრებაში იყო. აღნიშნული გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ თუ პრივატიზაცია ან ექსკლუზიური უფლებების გადაცემა განხორციელდა სამართლიანი პირობების ფარგლებში, ასევე, დომინანტ კომპანიას გააჩნია გადაწყვეტილების მიღების სრული ავტონომია ინფრასტრუქტურაზე წვდომის საკითხებთან დაკავშირებით, ის უნდა



ჩაითვალოს კერძო მესაკუთრედ და მასზე უნდა გავრცელდეს საკუთრების დაცვის ისეთივე მაღალი სტანდარტი, როგორც მათზე, ვინც თავად ააშენა ობიექტი. აღნიშნული გადაწყვეტილებით „ბრონერის ტესტის“ გამოყენების აუცილებლობა დადასტურდა იმ კომპანიების სასარგებლოდ, რომლებიც ინფრასტრუქტურას სახელმწიფოსგან ფლობენ. ბულგარეთის სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს CJEU-განმარტებებით და იგი ასახოს საბოლოო გადაწყვეტილებაში.

დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ ექსკლუზიური პირობების დაწესება

Unilever Italia Mkt. & Autorità Garante della Concorrenza e del Mercato (C-680/20). სრული გადაწყვეტილების ბმული - <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/HTML/?uri=CELEX:62020CJ0680>

2023 წელს CJEU-მ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლითაც კიდევ ერთხელ დააწესა მტკიცების მაღალი სტანდარტი კონკურენციის ორგანოებისთვის. საქმის განმხილველ ორგანოს, შესაბამისი ეკონომიკური მტკიცებულების არსებობის პირობებში, არ უნდა შეეძლოს ეკონომიკური აგენტისთვის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შერაცხვა შესაბამისი მტკიცებულებების შეფასებისა და გამოკვლევის გარეშე, მიუხედავად იმისა რომ შესაძლებელია დომინანტის ქცევა ექსკლუზიური პირობების დაწესებაში გამოიხატებოდეს. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილებით დისტრიბუტორი კომპანიების ქმედება დომინანტ კომპანიას შეერეცხა, ვინაიდან ისინი აღნიშნულ საქმეში განხილულ იქნენ, როგორც ერთი ეკონომიკური მთლიანობა.

1. ფაქტობრივი გარემოებები

2017 წელს იტალიის კონკურენციის ორგანომ დაადგინა, რომ კომპანია Unilever-მა ბოროტად გამოიყენა დომინანტური მდგომარეობა. კერძოდ, მათი მტკიცებით, Unilever-ის დისტრიბუტორებმა სავაჭრო ობიექტებს დაუწესეს გაურკვევლი პირობები, რომელთაც ექსკლუზიური ხასიათი ჰქონდათ და რომლის დარღვევაც დომინანტ კომპანიას შეერაცხებოდა. ამასთან, საქმის მოკვლევის ეტაპზე გამოკვლეული არ ყოფილა Unilever-ის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომელიც ეკონომიკურ ანალიზს ეყრდნობოდა. აღნიშნული, იტალიის კონკურენციის ორგანომ არარელევანტურად მიიჩნია.



გადაწყვეტილება გასაჩივრდა იტალიის სასამართლოში, რომელმაც CJEU-ს მიმართა კითხვით, რაზეც მან მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა მტკიცებულებების არსებობის პირობებში, მათი გამოკვლევის აუცილებლობაზე. ამასთან, გაიზიარა კონკურენციის ორგანოს მიდგომა ქმედების დომინანტი კომპანიის შერაცხვის შესახებ, თუმცა ამ ნაწილშიც მტკიცების მაღალი სტანდარტი დააწესა.

2. შესაბამისი ბაზარი

Unilever-ი აწარმოებს და ყიდის სხვადასხვა სახის პროდუქციას, მათ შორის შეფუთულ ნაყინს, რომელიც ბაზარზე წარმოდგენილია სავაჭრო ნიშნებით: Algida და Carte d'Or. იგი იტალიაში 150 დისტრიბუტორის მეშვეობით ახდენს ინდივიდუალურად შეფუთული ნაყინის რეალიზაციას.

იტალიის კონკურენციის ორგანომ, აღნიშნული დავის ფარგლებში, Unilever-ის დომინანტური მდგომარეობა ინდივიდუალურად შეფუთული ნაყინების გაყიდვის ბაზარზე დაადგინა.

3. იტალიის კონკურენციის ორგანოს მსჯელობა

კონკურენციის ორგანომ, მიუხედავად დომინანტი კომპანიის უარყოფისა, მიიჩნია, რომ ქმედება ზღუდავდა კონკურენციას და სრულად შეერაცხებოდა **Unilever**-ს, რადგან ის გარკვეული ხარისხით ერეოდა დისტრიბუტორების კომერციულ პოლიტიკაში და შესაბამისად, ისინი დამოუკიდებლად არ მოქმედებდნენ, როდესაც იყენებდნენ კომპანიის მიწოდებულ ხელშეკრულებებს. ამდენად, სავაჭრო ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებების პირობების ფორმირებასთან მწარმოებელი კომპანია იყო დაკავშირებული.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომისიამ უარი თქვა Unilever-ის მიერ წარდგენილი ეკონომიკური კვლევებისა და მტკიცებულებების განხილვაზე, რადგან მიიჩნია, რომ ხელშეკრულებაში ექსკლუზიური პირობების არსებობა თავისთავად საკმარისი იყო კომპანიის დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დასადგენად და მათი სამომავლო ეფექტის დამატებითი ანალიზი საჭირო აღარ იყო.

4. სასამართლოს მსჯელობა

სასამართლომ, გაიზიარა კონკურენციის ორგანოს მსჯელობა ქმედების დომინანტისთვის შერაცხადობაზე, თუმცა დამატებით განმარტა, რომ მსგავს შემთხვევებში, დისტრიბუტორების პოლიტიკის ფორმირებაში ჩარევის მაღალი ხარისხი უნდა დადგინდეს და პასუხისმგებლობის გადაკისრება მწარმოებლისთვის ავტომატურად არ უნდა მოხდეს. სასამართლომ განმარტა, რომ დისტრიბუტორების ქმედება შეიძლება შეერაცხოს მწარმოებელს მაშინაც კი, თუ მათ შორის არ არსებობს სტრუქტურული კავშირი და ქმედება მართალია ფორმალურად სრულდება დისტრიბუტორის მიერ, მაგრამ ის არის მწარმოებლის კომერციული პოლიტიკის ნაწილი, დისტრიბუტორებს არ ჰქონიათ ნების ავტონომია და ისინი კომპანიის მიერ განსაზოგცილებელი ქმედებისთვის მხოლოდ „ინსტრუმენტს“ წარმოადგენენ.



ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, AEC (As-Efficient Competitor)⁴ ტესტის ჩატარება სავალდებულო არაა და კონკურენციის ორგანოს არ მოეთხოვება იმის მტკიცება, რომ ქმედება გამოიწვევდა რეალური ზიანს, მაგრამ მან მაინც უნდა დაადასტუროს ქმედების რეალური უნარი შეზღუდოს კონკურენცია, მაშინ როდესაც მხარეს წარდგენილი აქვს ეკონომიკური მტკიცებულებები, რომლითაც ცდილობს დაადასტუროს, რომ ზიანი არ დამდგარა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ მნიშვნელოვანი მითითება გააკეთა Intel-ის საქმეზე და განმარტა, რომ ხსენებულ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა ფასდაკლების სისტემებთან დაკავშირებით⁵, ასევე უნდა გავრცელდეს ექსკლუზიურობის დათქმების მიმართაც. შესაბამისად, მართალია, ექსკლუზიური პირობები მისი შინაარსით კონკურენციისთვის საზიანოა, თუმცა ის ავტომატურ დარღვევად არ უნდა დაკვალიფიცირდეს წარდგენილი მტკიცებულებების შეუფასებლად.

5. სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის კონკურენციის ორგანომ დაარღვია სამართლებრივი პროცედურა, როდესაც უარი თქვა Unilever-ის მიერ წარდგენილი ეკონომიკური მტკიცებულებების განხილვაზე. იტალიის სასამართლომ გაიზიარა ევროკავშირის სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები, თუმცა მტკიცებულებების შეფასებისას დაასკვნა, რომ Unilever-ის მიერ წარდგენილი არგუმენტები (მათ შორის AEC ტესტი) ვერ აბათილებდა ჩადენილ დარღვევებს და კომპანიის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

⁴ ეს არის ეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელსაც კონკურენციის სამართალში იყენებენ იმის დასადგენად, არის თუ არა დომინანტი კომპანიის საფასო პოლიტიკა მიმართული ისეთივე ეფექტური კონკურენტების ბაზრიდან განდევნისკენ.

⁵ Intel-ის საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ თუ კომპანია წარადგენს მტკიცებულებებს, რომ მის ფასდაკლებებს არ ჰქონია ისეთივე ეფექტური კონკურენტების განდევნის უნარი, როგორიც თვითონაა, კონკურენციის ორგანო ვალდებულია ეს მტკიცებულებები გამოიკვლიოს და შეამოწმოს.



აკრძალული შეთანხმებები (ART. 101 OF TFEU) - შეთანხმებული ქმედება (CONCERTED PRACTICE)

Scania AB and Others v European Commission- სრული გადაწყვეტილების ბმული: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62022CJ0251>

1. ფაქტობრივი გარემოებები

ევროკომისიამ შესაბამისი მოკვლევის შედეგად დაადგინა საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების (Trucks) მწარმოებელი სამი იურიდიული პირის - Scania AB, Scania CV AB and Scania Deutschland GmbH ('Scania DE') მონაწილეობა შეთანხმებულ ქმედებაში, კერძოდ იგი ეხებოდა:

- საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების მწარმოებლების მიერ მთლიანი ფასებისა და ფასების ზრდის კოორდინაციას;
- საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების მწარმოებლების მიერ გამონაბოლქვი ტექნოლოგიების (ევრო 3–6 სტანდარტები) დანერგვის ვადების კოორდინაციას;
- და ამ გამონაბოლქვი ტექნოლოგიების ხარჯების მომხმარებლებზე დაკისრებას.

მოცემულ საქმეში საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების მწარმოებლები ცვლიდნენ მგრძნობიარე ინფორმაციას და ამცირებდნენ კონკურენციას საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების ფასებთან და გარემოსდაცვითი შესაბამისობის ხარჯებთან დაკავშირებით.

2. შესაბამისი ბაზარი

2.1 პროდუქციული ბაზარი - საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების წარმოება

2.2 გეოგრაფიული ბაზარი - EEA ქვეყნები (ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო და ისლანდია, ლიხტენშტაინი და ნორვეგია)

2.3 შეთანხმებული ქმედება – Scania AB, Scania CV AB and Scania Deutschland GmbH ('Scania DE') 1997 წლიდან 2011 წლამდე მონაწილეობდნენ შეთანხმებულ ქმედებაში - რაც TFEU-ს 101-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობაში ექცევა.

3. შეთანხმებული ქმედების ეფექტი კონკურენციაზე

ევროკომისიის გადაწყვეტილებით, რომელმაც შემდგომში გაიარა სასამართლოს კონტროლი და უცვლელად დარჩა, ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ სამი იურიდიული პირის - Scania AB, Scania CV AB and Scania Deutschland GmbH ('Scania DE') მონაწილეობა შეთანხმებულ ქმედებაში ზღუდავდა კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, რაც გამოიხატა საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების ფასების ზრდასა და ასეთი სატვირთო მანქანების გამონაბოლქვი ტექნოლოგიების ხარჯების მომხმარებლებზე დაკისრებაში.

4. ევროკომისიის მსჯელობა

Scania AB, Scania CV AB and Scania Deutschland GmbH ('Scania DE') მონაწილეობდნენ შეთანხმებულ ქმედებაში 1997 წლიდან 2011 წლამდე. ქცევა წარმოადგენდა შეთანხმებულ ქმედებას და პრაქტიკას, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას ობიექტის მიხედვით.

შეთანხმებული ქმედების მიზანი იყო საშუალო და მძიმე სატვირთო მანქანების წარმოების ფასები და გამონაბოლქვი ტექნოლოგიების ხარჯებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლა.

ევროკომისიის გადაწყვეტილებით, Scania CV AB და Scania DE პირდაპირ პასუხისმგებელი იყვნენ, ხოლო Scania AB სოლიდარულად და ცალ-ცალკე პასუხისმგებელი იყო, როგორც მშობელი კომპანია.

კომისიამ Scania-ს (სოლიდარულად და ცალ-ცალკე) 880,523,000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

5. სასამართლოს გადაწყვეტილება

ევროკომისიის გადაწყვეტილება Scania-მ გაასაჩივრა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა ევროკომისიის გადაწყვეტილება, კერძოდ მან დაადგინა, რომ ევროკომისიამ საქმის განხილვის ეტაპზე დაიცვა პროცედურული ნორმები და არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები ზემოხსენებული სამი იურიდიული პირის შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით და სასამართლოს მოსაზრებით დარღვევის კლასიფიკაცია სამართლებრივად სწორად იყო მინიჭებული ევროკომისიის მიერ.

აკრძალული შეთანხმებები (ART. 101 OF TFEU) - შეთანხმებული ქმედება (CONCERTED PRACTICE)

Westfälische Drahtindustrie and Others v European Commission- სრული გადაწყვეტილების ბმული: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:62023CJ0070>

1. ფაქტობრივი გარემოებები

ევროკომისიამ შესაბამისი მოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ ფოლადის მავთულის მწარმოებელი რამდენიმე იურიდიული პირი - Westfälische Drahtindustrie GmbH, დაფუძნებული ქალაქ Hamm-ში (გერმანია), Westfälische Drahtindustrie

Verwaltungsgesellschaft mbH & Co. KG, დაფუძნებული ქალაქ Hamm-ში (გერმანია), Pampus Industriebeteiligungen GmbH & Co. KG, დაფუძნებული ქალაქ Iserloh-ში (გერმანია), მონაწილეობდნენ შეთანხმებულ ქმედებაში, რომელიც ეხებოდა მწარმოებლების მიერ ფოლადის მავთულის წარმოების ფასების კოორდინაციას და ბაზრების გადანაწილებას, რაც საბოლოოდ ზიანს აყენებდა და გავლენას ახდენდა EEA ზონაზე (ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო და ისლანდია, ლიხტენშტაინი და ნორვეგია).

2. შესაბამისი ბაზარი

2.1 პროდუქციული ბაზარი - ფოლადის მავთულის წარმოება

2.2 გეოგრაფიული ბაზარი - EEA ქვეყნები (ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო და ისლანდია, ლიხტენშტაინი და ნორვეგია)

2.3 შეთანხმებული ქმედება – Westfälische Drahtindustrie GmbH, Westfälische Drahtindustrie Verwaltungsgesellschaft mbH & Co. KG, და Pampus Industriebeteiligungen GmbH & Co. KG მონაწილეობდნენ შეთანხმებულ ქმედებაში 2000 წლის იანვრიდან 2007 წლის მაისამდე, რაც გამოიხატებოდა ფასების კოორდინაციასა და ბაზრის გადანაწილებაში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მასშტაბით - რაც TFEU-ს 101-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობაში ექცევა.

3. შეთანხმებული ქმედების ეფექტი კონკურენციაზე

ევროკომისიის გადაწყვეტილებით, რომელმაც შემდგომში გაიარა სასამართლოს კონტროლი და ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ Westfälische Drahtindustrie GmbH, Westfälische Drahtindustrie Verwaltungsgesellschaft mbH & Co. KG, და Pampus Industriebeteiligungen GmbH & Co. KG მონაწილეობდნენ შეთანხმებულ ქმედებაში, რომელიც ზღუდავდა კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.

4. ევროკომისიის მსჯელობა

Westfälische Drahtindustrie GmbH, Westfälische Drahtindustrie Verwaltungsgesellschaft mbH & Co. KG, და Pampus Industriebeteiligungen GmbH & Co. KG მონაწილეობდნენ შეთანხმებულ ქმედებაში 2000 წლის იანვრიდან 2007 წლის მაისამდე. ქცევა წარმოადგენდა შეთანხმებულ ქმედებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების მასშტაბით, რომელიც გამოიხატებოდა ფასების კოორდინაციასა და ბაზრების გადანაწილებაში ფოლადის მავთულის წარმოების ბაზარზე, რომელიც თავის მხრივ ზღუდავდა კონკურენციას შესაბამის ბაზარზე.

აღნიშნული ქმედებამ რაც გამოიხატა ფოლადის მავთულის წარმოების სეტორში ფასების ზრდასა და ასეთი პროდუქციის წარმოების ბაზრების გადანაწილებაში, საბოლოოდ ზიანი მიაყენა მომხმარებლებს.

კომისიამ შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილე კომპანიებს ჯამში 46,550,000 ევროს ოდენობის ჯარიმა დააკისრა.



5. სასამართლოს გადაწყვეტილება

ევროკომისიის გადაწყვეტილება Westfälische Drahtindustrie GmbH, Westfälische Drahtindustrie Verwaltungsgesellschaft mbH & Co. KG, და Pampus Industriebeteiligungen GmbH & Co. KG-მ გაასაჩივრეს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში. კომპანიების მტკიცებით, ევროკომისიამ არასწორად შეაფასა მათი მონაწილეობა შეთანხმებულ ქმედებაში, აკრძალული შეთანხმების ხანგრძლივობა და მასშტაბები არასწორად იყო განსაზღვრულ და აგრეთვე აპელანტების მოსაზრებით, ჯარიმის გაანგარიშება გადაჭარბებული და არაპროპორციული იყო.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და ძალაში დატოვა ევროკომისიის გადაწყვეტილება, კერძოდ მან დაადგინა, რომ სახეზე იყო ერთიანი და განგრძობადი დარღვევის არსებობა, რაც გამოიხატებოდა აპელანტების მიერ შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობაში.

აპელანტებს დაეკისრათ ჯარიმისა და სასამართლო ხარჯების გადახდა.



გამოყენებული ინფორმაცია ეყრდნობა უწყებების/ორგანიზაციების ოფიციალურ საიტებზე არსებულ ინფორმაციებს.



15 20



info@gcca.gov.ge



www.gcca.gov.ge



GCCA • საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო



GCCA • Georgian Competition and Consumer Agency



0102 ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154.
ბიზნეს ცენტრი "მწვანე ოფისი"